განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ანგარიში

ოქტომბერი 2013

2013 წელი დიდი გამოწვევებით დავიწყეთ:

არაეფექტურად დაგეგმილი ბიუჯეტი, პოლიტიზირებული სისტემა, მხოლოდ პიარზე გათვლილი პროექტები და კიდევ მრავალი პრობლემური ნიუანსი უფრო გვარწმუნებდა იმაში, რომ სისტემის ძირეული ცვლა და შესაბამისად, ეფექტური ქმედებების განხორციელება იყო საჭირო.

განათლებისა და მეცინერების სამინისტრო არის ის უწყება, რომელთანაც ყოველდღიური შეხება ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს. აქედან გამომდინარე, ვგრძნობთ უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ თავდაუზოგავი შრომისა და მონდომების საფუძველზე რეალურად შედგა პროგრესული, განვითარებადი, აპოლიტიკური და საზოგადოების დაკვეთაზე ორიენტირებული სტრუქტურა. ამისათვის მინდა მადლობა გადავუხადო განათლების სისტემის თითოეულ თანამშრომელს, პარტნიორ სამინისტროებს და პარლამენტს, რადგან მხოლოდ ერთობლივი მუშაობით იყო შესაძლებელი სირთულეების დაძლევა.

არსებული ვითარებისა და მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით, ძირეული რეფორმების განსახორციელებლად ნიადაგის მომზადების, აგრეთვე, შესაფერისი და ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით განათლების ყველა დონეზე განვახორციელეთ ფართომასშტაბიანი და ეფექტიანი პროგრამები. გატარებული ღონისძიებები დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა.

მნიშველოვანია აღინიშნოს, რომ 2013 წელს განხორციელებული პროექტებს გავლენა ჰქონდა და მომავალშიც ექნება არამხოლოდ განათლების სისტემაზე, არამედ ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკის სტიმულირებაზე. ეს იყო გაზრდილი ხელფასები, ადამიანთა დასაქმება და მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი.

უფრო კონკრეტულად კი მოგახსენებთ ცალკეული ქმედებების შესახებ:

ზოგადი განათლება

ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიური სამსახური

- სისტემა გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან
- მანდატურის სამსახური გარდაიქმნა ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიის სამსახურად, რომლის ძირითადი ფუნქცია გახდა უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.

სამსახური მუშაობს სამი მიმართულებით:

- ✓ ბავშვთა დაცვის ოფიცერი - მოსწავლეების დაცვა, პრევენციული პროგრამები
- ✓ ფსიქოლოგიური მომსახურება
- ✓ მოსწავლეების კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამა

- ❖ ბავშვთა დაცვის ოფიცრები ემსახურებიან 400 სკოლას, მომსახურებას მოითხოვს კიდევ დამატებით 769 სკოლა

ფსიქოლოგიური ცენტრი გაიხსნა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, დაგეგმილია ახალი ცენტრების კიდევ 5 რაიონში გახსნა.

140 მილიონი დოლარის ინვესტიცია განათლებაში

- ❖ დაფინანსდება 150-მდე სკოლის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში
- ❖ დაფინანსდება პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება და საკლასო შეფასების მოდელის შემუშავება
- ❖ პროგრამული და ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით დაფინანსება და ტექნიკური დახმარება გაეწევა სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს
- ❖ დაფინანსდება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მიმართულების განვითარება სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

პროექტის ხანგრძლივობა 5 წელიწადს მოიცავს.

ინკლუზიური განათლება

1. მომზადდა 2013-2016 წლების ინკლუზიური განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
2. თბილისის ორ საჯარო სკოლაში გაიხსნა ინტეგრირებული კლასები
3. საქართველოს სხვადასხვა პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა წელს პირველად მიიღეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 51 სტუდენტი
4. პროფესიული განათლების პროგრამები ხელმისაწვდომი გახდა მსჯავრდებულებისა და პრობაციონერებისათვისაც

20 წლის შემდეგ, პირველად, უსინათლო და სუსტადმხედველი მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოები ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფილია სპეციალური მასწავლებლით ან ფსიქოლოგით
- აკრედიტაცია მიიღო სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამამ
- მიმდინარეობს მუშაობა ინკლუზიური განათლების ხელშემწყობ გზამკვლევზე
- მიმდინარეობს მუშაობა ,,განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის" სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ეროვნული მოდელის შექმნაზე

ინკლუზიურ სკოლებში მოწესრიგდა სახელფასო პოლიტიკა და სკოლებს დაემატათ სპეციალური მომსახურე პერსონალი.

სისტემის დეცენტრალიზაცია და სტრუქტურული ერთეულების გაძლიერება

- რესურსცენტრს დაემატა მონიტორინგისა და შეფასების ფუნქცია
- სკოლებისათვის იურიდიული მომსახურების ფუნქცია
- ჩართულია პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაში

სკოლების ინტერნეტიზაცია

- ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით
- პედაგოგებსა და მოსწავლეებს წვდომა აქვთ ინტერნეტ-რესურსებთან და ელექტრონულ ლაბორატორიებთან
- სკოლები ჩართულნი არიან ელექტრონული საქმისწარმოების ერთიან სისტემაში
- წარმატებით განხორციელდა ელექტრონული ჟურნალის აპრობაცია საპილოტე საჯარო სკოლაში
- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოწესრიგდა საკომუნიკაციო საშუალებები

ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარის სტანდარტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა სკოლის ბიბლიოთეკარის სტანდარტი. ამ დრომდე საქართველოს განათლების სისტემაში არ არსებობდა დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტები, მოთხოვნები და ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით ბიბლიოთეკარებს ერთიან პროფესიულ სტანდარტს შესთავაზებდა. სტანდარტის მიხედვით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავდა და განხორციელდება ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი.

სრულდება სკოლის ბიბლიოთეკის სტანდარტზე მუშაობა. განისაზღვრა ის სავალდებულო საგანმანათლებლო რესურსები, რომელიც თანამედროვე სკოლის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს, ასევე, ბიბლიოთეკის საქმიანობის არეალი, რის შემდეგაც აქტიურად დაიწყება მუშაობა სასკოლო ბიბლიოთეკების აღჭურვისა და განვითარების პროგრამაზე მათი სტანდარტით შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დამთავრდა სკოლის დირექტორის და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე მუშაობა.

სკოლების განვითარება

სკოლების გაძლიერების მიზნით, დაფინანსების სისტემაში განვახორციელეთ ცვლილებები და გავზარდეთ საჯარო სკოლების დაფინანსება გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული საჭიროებების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის და სკოლის განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტების მიხედვით. ეს ცვლილებები სკოლებს აძლევს განვითარების საშუალებას და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მაღალმთიანი და საზღვრისპირა რაიონების სკოლების შენარჩუნებისთვის.

აგრეთვე, პედაგოგების სასარგებლოდ შეიცვალა სერტიფიცირების დანამატის გაცემის წესი, რაც გულისხმობს სერტიფიცირების დანამატის გაცემას ჩატარებული საგაკვეთილო საათების პროპორციულად.

სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

- განხორციელდა 600-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია
- განხორციელდა 100-ზე მეტი სკოლის გაზიფიცირება და გათბობის სისტემის მონტაჟი
- 2014 წლის გაზაფხულზე სკოლები აღიჭურვება ახალი სასკოლო ავეჯით

ასაშენებელი 9 სკოლა

- საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში სკოლა 1000 მოსწავლეზე ;
- ქარელის რაიონის სოფელ აბანოში სკოლა 90 მოსწავლეზე;
- თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში სკოლა 144 მოსწავლეზე;
- ზესტაფონის რაიონის სოფელ სადგურ სვირში სკოლა 120 მოსწავლეზე;
- მარნეულის რაიონის სოფელ ახალ დიოკნისში სკოლა 144 მოსწავლეზე;
- მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში სკოლა 240 მოსწავლეზე;
- ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფნარში სკოლა 60 მოსწავლეზე;
- მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში სკოლა 450 მოსწავლეზე;
- ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუღაშენში სკოლა 120 მოსწავლეზე.

ასაშენებელი სკოლების პროექტებზე მუშაობა დასრულდა. ახალი სკოლებისთვის შექმნილ პროექტებში გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ადგილმდებარეობის სპეციფიკა და ის ნიუანსები, რომელიც კონკრეტული სკოლისთვისაა მნიშვნელოვანი.

ცვლილება საჯარო სკოლების დაფინანსების წესში

- სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის დამატებით დაფინანსებას იღებს

- გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, დაფინანსება გაიზარდა სოფელში, დაბაში და მაღალმთიან რეგიონებში მდებარე საჯარო სკოლებში

- სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციის თანამშრომლების და ტექნიკური პერსონალის გაეზარდათ საბაზო ხელფასი (25% - 60%)

ფსიქოლოგიური ცენტრები

2013 წლის აპრილიდან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი გაიხსნა.

ფსიქოლოგიური ცენტრის მულტიდისციპლინარული ჯგუფი, რომელიც შედგება ფსიქოლოგების, ბავშვთა ფსიქიატრისა და სოციალური მუშაკებისგან, სთავაზობს ფსიქო-სოციალურ მომსახურებას ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებს და მათ ოჯახებს:

- ინდივიდუალური კონსულტაცია
- ინდივიდუალური თერაპია
- ჯგუფური თერაპია
- თემატური ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და ჩატარება

ფსიქოლოგიური ცენტრი ახორციელებს მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროექტს.

ცენტრში არსებული ყველა სერვისი უფასოა.

უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები

პროექტის ფარგლებში სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე, ასევე, კერძო სკოლების სოციალურად დაუცველი, ომში დაღუპული პირების ოჯახების და საჯარო სკოლებიდან შენობის გასხვისების შედეგად კერძო სკოლებში გადაყვანილი მოსწავლეები უფასოდ უზრუნველყო სახელმძღვანელოებით და საგნობრივი სავარჯიშო რვეულებით. ამ პროექტით ფაქტიურად ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო მშობლების დარდს სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენასთან დაკავშირებით. საშუალოდ თითო ოჯახს შვილის სასკოლო სახელმძღვანელოებით და საგნობრივი სავარჯიშო რვეულებით მომარაგება 200 ლარი უჯდებოდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი დანაზოგია.

სასკოლო ავტობუსი

პროექტი დავიწყეთ პრაქტიკულად განათლების სამინისტროში მოსვლისთანავე. შემდგომ პერიოდში კი მასშტაბური გახდა. მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის შემუშავდა სკოლების ხელმისაწვდომობის პროგრამა, რომლის მიზანია, უზრუნველყოს ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსწავლეებისთვის. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოსწავლეებს რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა აღარ უწევთ ტრანსპორტის არარსებობის გამო.

- უფასო ტრანსპორტირებით 913 სკოლის 46 520 მოსწავლე სარგებლობს
- ტრსანპორტის დანიშვნით რეგიონის სკოლებში გაკვეთილზე დასწრების მაჩვენებელი 100% მიუახლოვდა.

სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციის თანამშრომლების და ტექნიკური პერსონალის ხელფასის ზრდა

არსებული საბიუჯეტო სახსრების ოპტიმიზაციითა და პრიორიტეტული მიმართულებისკენ რესურსების მიმართვით ზოგადი განათლების სისტემაში შესაძლებელი გახდა ხელფასების ზრდა 26-60%-ით პედაგოგების ხელფასის, ხოლო 40-45%-ით ზრდა -ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალის.

მასწავლებლის ანაზღაურებადი შვებულების დღეები

2013 წლიდან, პედაგოგთა ანაზღაურებადი შვებულება არანაკლებ ორი თვის (40 სამუშაო დღე) ვადით განისაზღვრა. აქამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, მასწავლებლებს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში არანაკლებ 24 სამუშაო დღის ვადით ეძლეოდათ.

პროფესიული განათლება

ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებები ბოლომდე შესრულდა

2012 წლის ოქტომბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას დახვდა ევროკავშირთან ხელშეკრულებით ნაკისრი შეუსრულებელი ვალდებულებები, რის გამოც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავდა 1 მლნ. ევროზე მეტ თანხას (რომელიც მთავრობას საბიუჯეტო დახმარების სახით უნდა მიეღო გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ). სამინისტროს ძალისხმევით, ევროკავშირის წარმომადგენლობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება და პირობების შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2013 წლის გაზაფხული. ამ ვადებში (ნოემბერი-მარტი) სამინისტრომ მოახერხა ყველა ნაკისრი ვალდებულების შესრულება და შესაბამისი ტრანშის მიღება;

ევროკავშირთან ახალი ფინანსური ხელშეკრულება

საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის სახელმწიფო მექანიზმის დანერგვის, პროფესიული განათლების შრომის ბაზართან დაახლოებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, შემუშავდა ახალი პროგრამა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთობლივად განახორციელებენ. ფინანსური ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ევროკავშირისგან 4 წლის განმავლობაში ტექნიკურ და საბიუჯეტო დახმარებას 27 მილიონი ევროს ოდენობით მიიღებს, რაც ბაზრის კვლევის სისტემის ფორმირებასა და თანამედროვე და ხარისხიანი პროფესიული განათლების ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება.

პროფესიული განათლების სტრატეგია 2013-2020

ასევე, ევროკავშირის დახმარებითა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მიმდინარე წელს შემუშავდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგია მოიცავს 2013-2020 წლებს და მასში სრულად არის ასახული სისტემის ამჟამინდელი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები ადგილობრივი კონტექსტისა და საერთო ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. სტრატეგია უკვე შეთანხმებულია სამინისტროებთან, პარლამენტის კომიტეტებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სოციალური პარტნიორებთან და წარდგენილია დასამტკიცებლად საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის.

პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგია

იმისათვის, რომ პროფესიულ განათლება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განვითარდეს, ბიზნესი აქტიურად უნდა ჩაერთოს პროფესიულ განათლებაში და მონაწილეობა უნდა მიიღოს სფეროს ფორმირების ყველა ეტაპზე. ფონდის „ათასწლეულის გამოწვევა - საქართველო“ მხარდაჭერით შემუშავდა პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგია. მიმდინარეობს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ინტენსიური შეხვედრები სისტემური თანამშრომლობის ფორმატის დასადგენად. დაწყებულია ასევე დამსაქმებლის, სასწავლებლისა და სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით პროექტების პილოტირებაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება

განხორციელდა გარდამავალი პერიოდის ცვლილებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის, მათ შორის: გაიზარდა პროგრამების ხანგრძლივობა, რაც მეტ საშუალებას იძლევა პროფესიული სტუდენტის დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებისათვის;

ამასთანავე, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, დამსაქმებლების მონაწილეობით და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით განახლდა 20-მდე პროფესიული სტანდარტი. ამავე მეთოდოლოგიით, წლის ბოლომდე დამუშავდება კიდევ 50 პროფესიული სტანდარტი. ეტაპობრივად დაგეგმილია ყველა მოქმედი სტანდარტის გადამუშავება და განახლება;

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, პროფესიული განათლების მოქნილობისა და მობილურობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე წელს მომზადდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია. მომდევნო წლებში, საგნებზე დაფუძნებული პროგრამებიდან, სისტემა ეტაპობრივად გადავა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებაზე;

USAID-ის და EPI-ს (ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა) ერთობლივ პროექტთან თანამშრომლობის შედეგად, განხორციელდა 4 სახელმწიფო კოლეჯის აღჭურვა რამდენიმე პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება; მასალების მომზადება ინსტრუქტორებისთვის; სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა. ასევე, სწავლების მოკლევადიანი საპილოტე კურსების განხორციელება.

პროფესიული განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური კომისიის მეშვეობით შეისწავლა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხი და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებისა და შემდგომი განვითარების პროექტები. 2014 წლიდან დაიწყება და მომავალი წლების განავლობაში ეტაპობრივად განხორციელდება 26-მდე ახალი პროფესიული სასწავლებლის დაფუძნების პროცესი, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას მთელს საქართველოში;

პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურული განვითარება

მიმდინარე წელს შესწავლილ იქნა პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საჭიროებები და მომავალი წლისათვის დაიგეგმა სასწავლო შენობებისა და სახელოსნოების რეაბილიტაციის პროექტები საქართველოს რეგიონებში მდებარე 4 კოლეჯში. უკვე დასრულდა სასწავლო კორპუსის მშენებლობა ამბროლაურის პროფესიული კოლეჯისათვის. ახალ სასწავლო წელს სტუდენტები მიიღო ავტორიზებულმა გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმაც.

პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ჩარჩო.

პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, მთელი წლის განმავლობაში, ტრენინგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ატარებდა. ტრენინგების თემატიკა იყო სწავლება-შეფასების მეთოდები, სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და ინკლუზიური პროფესიული განათლება.

- GIZ სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს ,,პროფესიული განათლების წარმომადგენელთა და ლიდერთა გადამზადება სამხრეთ კავკასიაში" (2013-2014). პროექტის ბიუჯეტია - 1,5 მლნ. ევრო

- წელს, 100-მდე პედაგოგი სწავლების თანამედროვე მეთოდიკასა და დიდაქტიკაში გადამზადდა

პროფესიულ მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა

საგრძნობლად გაიზარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება. სამინისტრო გეგმავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შესაბამისად იზრუნოს პედაგოგების მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე, სისტემაში ახალი კადრების მოზიდვაზე;

პროფესიული განათლება სოფლის მეურნეობის დარგში

- დონორი ორგანიზაციების დახმარებით 6 მილიონიანი პროექტი, რომელიც პროფესიულ კოლეჯებში ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემის დანერგვას გულისხმობს.

გამჭვირვალე და სამართლიანი ჩარიცხვის წესი, უფასო პროფესიული განათლება

- გაუქმდა ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარებით დადგენილი ბარიერი და შემუშავდა სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი წესი

- პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა სარეგისტრაციო პუნქტების რაოდენობა 3-დან 103-მდე გაიზარდა

- გაიზარდა აპლიკანტთა რაოდენობაც და მიმდინარე წელს რეგისტრაცია გაიარა პროფესიული განათლების მიღების 15 000-მდე მსურველმა

- პროფესიული განათლების მიღების მსურველებისათვის შემუშავდა ტესტები, რომლებიც არა ზოგადი უნარების, არამედ კონკრეტული პროფესიის დაუფლებისათვისაა საჭირო

- 9000 ჩარიცხული კონკურსანტიდან 99%-მა გადალახა დაფინანსების მოპოვებისათვის საჭირო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

ინკლუზიური პროფესიული განათლება

- შეირჩა 6 კოლეჯი, სადაც პროფესიული ტესტირების საფუძველზე უკვე ჩაირიცხა 51 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი
- სწავლების პროცესში ჩართულები არიან შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტები და ასისტენტები
- შეიქმნა ინკლუზიური განათლების პროცესის მონიტორინგის ინსტრუმენტი - ინკლუზიური განათლების ბარომეტრი
- განხორციელდა 6 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური გარემოს შეფასება
- 300-ზე მეტმა პედაგოგმა ინკლუზიური პროფესიული განათლების ტრენინგები გაიარა

უმაღლესი განათლება

სოციალური პროგრამა ბაკალავრებისთვის

- 2013 წელს გამოყოფილი თანხის ფარგლებში 1550-მდე სტუდენტი დაფინანსდა, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე ორჯერ მეტია
- წელს პირველად, 2011-2012 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სოციალურად დაუცველი სტუდენტები დაფინანსდნენ
- ოკუპირებულ ტერიტორიებთან განმყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 300-მდე სტუდენტის 2013-2014 წლის სწავლების საფასურს სახელმწიფო აფინანსებს

17 უფასო საბაკალავრო პროგრამა სახელმწიფო უნივერსიტეტებში

- 2013 წელს **3 529** სტუდენტს მიეცა სწავლის საშუალება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე

სოციალური პროგრამა მაგისტრანტებისთვის

- დაფინანსდნენ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა შვილები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, სოციალურად დაუცველი სტუდენტები

სახელმწიფო სტიპენდიები

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ბიუჯეტი გაორმაგდა. პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სტიპენდიებს 150 ლარის ოდენობით 10 თვის განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4% იღებს.

დოქტორანტურის დაფინანსება

ცვლილებაა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების მიმართულებით. წელს პირველად, სახელმწიფომ დოქტორანტები სასწავლო კვლევითი გრანტებით დააფინანსა, რომლის ფარგლებში, დოქტორანტს შესაძლებლობა მიეცა სადისერტაციო თემის ინტერესებიდან გამომდინარე დაფინანსება 21 000 ლარის ფარგლებში მოეპოვებინა.

- გრანტის მაქსიმალური ოდენობა - 21 000 ლარი
- 253 განცხადებიდან 137 დოქტორანტი დაფინანსდა

ზაფხულის და ზამთრის სკოლები

ზაფხულის სკოლა - სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის 2013-2014 სასწავლო წლის ზაფხულის სკოლების ორგანიზება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, სოციალურად აჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით;

ზაფხულის სკოლაში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო უნივერსიტეტების 28 სტუდენტმა.

ზამთრის სკოლა - წელს პირველად, ზამთრის სკოლების პროგრამა ამოქმედდა. პროგრამის მიზანია საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სამართლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით გარკვეული დარგების განვითარების ხელშეწყობა. ზამთრის სკოლის ბიუჯეტი მთლიანობაში 300 000 ლარს შეადგენს.

ზაფხულისა და ზამთრის სკოლები ემსახურება უცხოელი მეცნიერების ჩართვას საქართველოში გარკვეული დარგების სწავლების ხარისხის ასამაღლებად.

„ცოდნის კარის“ პროგრამა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ განათლება მიიღონ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. 2013 წელს დასაფინანსებლად გაიცა 3,707,048 მლნ. ლარი, რაც დაახლოებით მილიონი ლარით მეტია წინა წლის დაფინანსებასთან მიმართებაში. სულ, მიმდინარე წელს 97 სტუდენტი დაფინანსდა. ასევე, წელს პირველად, დოქტორანტები დაფინანსდნენ.

სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა

- 2013 წელს ჯამში კვლევით საქმიანობაზე ასიგნებამ 45 მლნ ლარი შეადგინა, რაც 55%-ით აღემატება 2012 წლის კვლევაში ინვესტიციას (29 მლნ ლარი)

მათ შორის:

- რუსთაველის ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების თანხამ შეადგინა 19,5 მლნ. ლარი, მათ შორის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებზე - 10,6 მლნ. ლარი დაიხარჯა.
- კვლევითი ცენტრების მიერ განხორციელებული პროექტებზე - 13 მლნ. ლარამდე
- სხვადასხვა სამეცნიერო - კვლევითი აქტივობები - 16,23 მლნ. ლარი